№ 34 ფებერვალი 12, ოთხშაბათი. 1886 ფებერვალი 12, ოთხშაბათი **№ 34**

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

17 თებერვალს, ორშაბათს დღეს
ტფილისის «კრუჟოკის» დარბაზში
იქნება გამართული:

ბ ა ლ ი

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ.

მანდილოსანთ შეუძლიანთ დაესწრონ ბალს გულ-ამოუჭრელ კაბებითაც.

ბალი დაიწყობა ცხრა საათიდამ.

ბილეთების ფასი ორ-ორი მანათია.

ბილეთები ისყიდება შავერდოვის სააგენტოში და «კრუჟოკის» შვეიცართან. (6—3)

ქართული თეატრი

ბენეფისი ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა
ოთხშაბათს, 12 ფებერვალს
ქართულის დრამატიულის დასისაგან
წარმოდგენილი იქნება:

ხ ა ნ უ მ ა

კომედია 4 მოქმედ., თხზ. ა. ცაგარლისა

II

დედა და შვილი

დრამატიული ეპიზოდი, თხზ. თ. ილია ჭავჭავაძისა

III

ქართულ ხმებს იმღერებს ბ-ნი გაბუნია-ცაგარლისა.

დასაწყისი 8 საათზედ.

ტფილისი, 11 ფებერვალს

ბ-ნი ავტორი იმავე Разбои и саморасправа на кавказѣ›-სა მარტო ერთს საზოგადო მიზეზს ჩასცივებია—რომ კავკასიის მხარე განუწყობელიაო (гражданское неустройство края, 647). ამ მიზეზის დასახელება იქნება სასარგებლოც იყვეს, მაგრამ იმაშიც ეჭვი არ არის, რომ ავტორი მეტად დიდს მნიშვნელობას აწერს «ბიუროკრატიულს ლიბერალობასა». აი სხვა საბუთებიც. ბ-ნი ავტორი ეხება საყურადღებო საგანს შესახებ პირუტყვთ მოშენებისა და ამბობს, რომ ეს საქმე ჰბადავსო ძრიელს მიდრეკილებას დანაშაულობისადმი (636—639). თავის აზრის დასამტკიცებლად მას მოჰყავს ბ-ნის ზელინსკის სიტყვები, რომელსაც ვითომ და შეუსწავლია სახელმწიფო გლეხების—თათრების ეკონომიური მდგომარეობა. ზელინსკი კიდევ იმას დაასკვნის, რომ ვითომ პირუტყვთ მომშენებელნი თათარნი — ქოჩნი ბინადართ მკვიდრთათვის ნამდვილს ღვთის რისხვას შეადგენდნენ. გარდა იმისა რომ ქოჩნი ავაზაკობენ, ქურდობენ, ისინი დაუნდობლად ახდენენ დათესილს ჭირნახულსაო და ამითი კალიასა და თაგვებზედ ნაკლები ზარალი არ მოაქვთ მცხოვრებლების ნამუშავრისათვისაო. რამოდენადაც ჩვენ გვახსოვს, ბ-ნი ზელინსკი მთავრობის მინდობილობით გაგზავნილი იყო ერევნის გუბერნიაში. მაგრამ ერევნის გუბერნიაში, როგორც ჰგონია ბ-ნ თ—ს, ქოჩნი ისე ბლომად როდი არიან, როგორც სხვაგან. არა, მათი ბუდე უფრო ელისავეტოპოლის გუბერნიაა. რაც უნდა იყვეს, მაინც როგორც ბ-ნი ზელინსკი, ისე ჩვენი ავტორი საქმეს მეტად აზვიადებენ. ელისავეტოპოლის გუბერნიაში ზანგეზურის მაზრა გათქმულია თავისის თვალ გადაუწვდენელის საძოვრებით (იალაღები). არა თუ მარტო ელისავეტოპოლის გუბერნიიდამ, ბაქოს და ერევნის გუბერნიებიდამაც ამ საძოვრებზედ იგრიბება ხოლმე ზაფხულობით უთვალავი ხალხი. ზანგეზურის მაზრაში კიდევ მკვიდრნი მისდევენ (სომხები და თათრები) მიწის მუშაობას. იქ მდებარებს სისიანი (участокъ), რომელიც ძველადგანვე გათქმულია მიწის ნაყოფიერებით და მოსავლით. და თუმცა სისიანის საძოვრები ახლო უძევს, მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ უშლის მიწის მუშაობას. იშვიათად თუ ჩობანი (მწყემსი) მოაძოვინებს თავის საქონელს დათესილს ჭირნახულსა. ხალხი თავის დროზედ ჰმკის და ჰლეწავს. ესე გახლავთ აგრედვე ყველა იმ სოფლებში, რომელნიც გზის პირად მდებარობენ, იმ ადგილებში, სადაც ქოჩებმა უნდა გაატარონ თავიანთი საქონელი. თუ საძოვრებზედ ხშირად დანაშაულობა მოხდება ხოლმე, უფრო ქოჩების შორის. დანაშაულობის სიხშირე ნახნავ-ნათესის მოძოების საქმე როდია. არა, თითონ მეიალაღე თათრებს აქვთ ხოლმე ერთი ერთმანეთში ძველი ანგარიშები. კაცის კვლა, მძიმედ დაჭრა, ერთი-ერთმანეთის საქონლის და სხვა რისამე მოპარვა, ქალის მოტაცება და სხვა ამისთანები,—აი რა უფრო ხშირია თვით ქოჩებთა შორის. ჩვენის ავტორის და ბ-ნ ზელინსკის აზრი რომ მართალი იყოს, მაშინ ხომ მიწის მუშაობა შეუძლებელი იქნება საზოგადოდ ყარაბაღში და კერძოდ ელისავეტოპოლის და ერევნის გუბერნიებში. მაგრამ ეს ხომ ასე არ არის. ყველამ იცის, რომ ამ ადგილებში ხალხი გულ-მოდგინედ მისდევს ხვნა-თესვას და ამითი ირჩენს თავს. ქოჩობას «კალიაზედ და თაგვებზედ» ნაკლები ზარალი რომ არ მოჰქონდეს, მაშინ ყველანი უფრო პირუტყვთ მოშენებას მოჰკიდებდნენ ხელს და არც ხვნა-თესვა იქნებოდა იქ ისეთს დიდ პატივში, როგორც ეხლაა.

ეს კიდევ არაფერი. ჩვენს ავტორს წარმოუდგენია ვითომ თვით ქოჩობა იყვეს მიზეზი, რომ ქოჩთა შორის ასე გახშირებულია დანაშაულობა (637); მაგრამ ეს მდგომარეობა დიდს ხანს ვერ გასტანს და ქოჩი ადრე, თუ გვიან ხვნა-თესვას მოჰკიდებს ხელსაო.. რისთვის?—მისთვის, რომ საძოვრები თან-და-თან საკმაო აღარ იქნება, ჯერ ქოჩი ხალხი ავაზაკობას და ცარცვას დაიწყებს და მერე მიწის მუშაობას შეუდგებაო. ამას ამტკიცებს საზოგადო კანონი და სხვა ხალხების ისტორიაო (639). მთავრობას შეუძლიან ამას ხელი შეუწყოსო—ტყეების გაშენება და სარწყავ რუების (ирригація) გაყვანა არის საჭიროო, ასე დასძენს ავტორი. ჩვენ ვურჩვენეთ, რომ თუ დანაშაულობა ასე ხშირია თათრებში, ამის მიზეზი როდია გარეგანი მდგომარეობა. თათრებში ხშირია უფრო საზოგადო დანაშაულობა და არა ისეთი, რომელიც ქოჩობიდამ წარმოსდგება (ნახნავ-ნათესის წახდენა და სხ.). გარდა ამისა, სხვა ხალხის ცხოვრებაც ამტკიცებს, რომ ქოჩობას მიუცილებლივ თან არ მოსდევს დანაშაულობის სიხშირე. აიღეთ მაგ., ყირგიზები. იმათში იშვიათია ყაჩაღობა, ავაზაკობა. იმ დროს, როცა კავკასია მთელის იმპერიის ყურადღებას იპყრობს თავისის გმირებით— ქიარიმებით, ტაგრივერდებით, ყირგიზებში ამ ნაირის გმირების ხსენებაც არ არის, თუმცა იქ ქოჩობა ბუნებრივს მდგომარეობას შეადგენს. ყაზახ-ბორჩალოში, მაგ., ყოველ დროს, ზა-

---

ფელეტონი

ფ შ ა ვ ლ ე ბ ი

(მათი სხვა-და-სხვა ჩვეულება, ცრუ-მორწმუნეობა და ხატები)

თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა
დიდუბეს ლაშქარი,
ოსი ფარ-შუბით, თუში ხმლით,
ფშავ-ხევსურს შვენის აბჯარი.

თ. გრ. ორბელიანი.

I

საზოგადო შენიშვნები

ძველს ნაქალაქარს ჟინვანს ორი არაგვი ერთმანეთს ერთვის: ერთი «მთიულეთისა» და მეორე «ფშავისა»; ფშავის არაგვი შესდგება ორის შტოისაგან. ერთი თვით ფშავის არაგვი და მეორე ხევსურეთისა, რომელნიც ერთმანეთს ერთვიან ორ-წყალში ჟინვანიდამ ორმოცის ვერსის სიშორეზედ. ხევსურეთის არაგვი ერთვის ფშავის არაგვსა მარჯვენიდამ, აქედამ იწყობა ხევსურეთი. ფშავის არაგვის მარჯვენა და მარცხენა მხარე შეკრულია მაღალის და ტყიანის მთებით, რომლების შუაზე შევიწროებული, მოოხრავს და ეშურება მტკვრისაკენ, მის ორივე ნაპირებზედ, ჟინვანიდამ მოყოლებული, მთის კალთებიდამ და წვერებიდამ მოიყურებიან მიწური სახლები და საბძლები—ეს ფშაველების სადგურები არის. ფშავლები სცხოვრობენ ეგრეთვე იორის ნაპირებზედ, მოყოლებული ბოჭორმიდამ იორის სათავემდე (კუდამდე) და შეადგენენ თიანეთის მაზრასა. ძველ დროში ფშაველებს ფხოველებს ეძახდენ; თვით ჩვენი მემატიანენი ამ სახელით იხსენიებენ, ხოლო ძლიერ იშვიათად შეხვდებით მათზე ლაპარაკს «ქართლის ცხოვრებაში». ფშავლების ჩვეულებასა და სარწმუნოებაზედ ჩვენ ვერაფერს ვპოვებთ მემატიანეთა მოთხრობაში; სხვა ქართველების ჩვეულებაზედაც ძლიერ ცოტას გვეუბნება «ქართლის ცხოვრება». საზოგადოდ ყველა ხალხების მემატიანენი გზას უქცევენ მდაბიო ხალხის მდგომარეობას, მათ ჩვეულებას და სხვა-და-სხვა გვარ ცხოვრების ავ-კარგიანობას. სისწორით რომ ვსთქვათ, არც კი არიან გასაკიცხავნი, რადგან არ იყვნენ ისინი იმდენად გონება-ცხოველნი, რომ ჰსცოდნოდათ რა უფრო გამოსადეგი იქნებოდა მათის შვილებისათვის,—ჩვენთვის. ჩვენი მემატიანესაგან, სხვა მოკლე ცნობათა შორის, ვიცით ფშავლებზე შემდეგი: მირიან მეფემ და წმ. ნინომ მოუწოდეს «ფხოველნი» და მათთან ერთად სხვა მთიულები «მსგავსნი ნადირისანი», რათა მიეგოთ ქრისტიანობა, მაგრამ «უკუ-იქცნენ»-ო. როდესაც პომპეიმ გამოიარა ურიცხვის ჯარით, მაშინ «ფხოველნი» რიცხვით სამასი კაცი დაუხვდენ წინ ანანურში და გზა შეუკრეს. პომპეის გაუკვირდა ამ ერთი მუჭა ხალხის გამბედაობა, მიიწვია თავისთან, გამოჰკითხა ვინაობა: ვინა ხართ? გყავთ მეფე თუ არაო? ფხოველთ უპასუხეს, რომ თვით მეფისაგან არიან ისინი დაყენებულნი მეფის კარის მცველად. როგორ იომებდითო, ჰკითხავდა პომპეი, რომ ვინიცობაა მომესია თქვენთვის ჩემი ჯარიო? მაშინ ფხოველთ გაიძვრეს ხმლები, იფარეს ფარები და დაერივნენ ერთმანეთს. პომპეი გაკვირვებული დარჩა მათის ხელ-მარჯვეობით, იარაღის ხმარებით, დაასაჩუქრა, აღუთქვა თავისუფლება და გაისტუმრა მშვიდობით.

ფშაველი არის გაშლილის, მუდამ სიამაყის და მხიარულების გამომხატველის სახისა, ახოვანი, გულ-კეთილი, მომთმენი და, როგორც ყველა მთის კაცი, სტუმრის მოყვარე. ვისაც უცხოვრია ფშავლებში ის მაშინვე იცნობს ფშაველს სიარულზე, თუნდ ერთის ვერსტის სიშორიდამ. როდესაც ფშაველი დადის გეგონება კვერსა სცემსო. როდესაც ფშაველი გელაპარაკება სიტყვის თავზე ატანს: «გენაცვალე», «შენი ჭირიმე», «დამიტირე», «მოგიკვდე»; თუ სასმელს დაალევინებ, დაგიბრუნებს თასს და დააყოლებს: «შენსამც ჭირს დაველევ!» ფშაველი უფრო სასიამოვნო სანახავია დღეობაში (ხატობაში). მაშინ ტყავს იხდის და ირთვება. ფშავლის მამა-კაცის ტან-საცმელს შეადგენს: მოკლე, შავი შალის ჩოხა, შალისავე განიერი შალვარი, წითელი დარაიის ახალუხი; ამასთან მკერდზე ასხმული აშურმა (ვერცხლის ბალთები ერთმანეთზედ აკინწლული), მხარ-იღლივ გადაგდებული შიბიანი და სალტებ შემოკრული ტარიელის მათრახი, რომელიც ჩხუბისათვის აქვს დამზადებული. ფშაველი ქალი არა ნაკლებ სიამოვნებას აღძრავს კაცის გულში თავის კლასიკურის მორთულობით. ქალს საშინაოდ აცვია ჯუბა (შალის კაბა), ფაფანაკი (მოკლე ჩოხა) და ტყავი; თავზედ ახურავს ჩითის ჩიქილა ანუ ლეჩაქი, გარს შემოკრულის შავის ხელსახოცით. ხატობის დროს ის ისე გამოიცვლება, როგორც გაზაფხულზე ბუნება: აყვავდება წითლად და ყვითლად. ხატობაში (დღეობაში) ან ქორწილში როდესაც არის ქალი იმას აცვია წითელი კაბა და ყელზედ ჰკიდია ვერცხლის შიბები. ესე მოკაზმული ეჩვენება და გაუთამამდება თავის წაწალს.

ფშაველს უყვარს ფართოდ ცხოვრება, არის დაულალავი მუშა, მაგრამ უზომოდ ჰსცხოვრობს: თავის შემოსავალ-გასავლის ანგარიში არ იცის. მანამ აქვს უხვად ხარჯავს და, როდესაც გაუთავდება, ვალით გაიმართავს ხელს. სახელისთვის შრომა, მუშაობა, მარტო კაცს არ ეკუთვნის, მამა-კაცს გვერდს უდგა—დედა-კაცი, თითქმის ყველა საქმეში და ვაჟ-კაცურად კაცთან ერთად ეწევა ცხოვრების უღელს: მკაში, ლეწვაში, ხვნაში, შეშის მოტანაში ის არის ნამდვილი მეუღლე კაცისა. დედა-კაცი იკიდებს შეშის ტვირთს დი წინდის ქსოვით, ორი ვერსის სიშორიდამ მოაქვს სახლში. დედა-კაცს, გარდა კაცურის შრომისა, აქვს თავისი სადედა-კაცო საქმეცა,—ის ქმარს და შვილებს «თავის ხელით აცმევს», როგორც თვითონვე ამბობს; მხოლოდ საპერანგის და საახალუხის ყიდვა სჭირდება. დედა-კაცი ჰქსოვს ფარდაგებს, წინდებს, ხურჯინებს, ფლასებს, შალებს, სთეღავს ნაბდებს. ყველა ეს ხელობა ძველს დროში ჩვენს ქალებს სცოდნიათ, რადგან რუსთაველს მოჰყავს ამის დამამტკიცებელი, ცხოვრებიდამ ამოგლეჯილი სურათი, როდესაც ის ადარებს მხდალს, ლაჩარს კაცს ქსლის მზექველს დედა-კაცსა:

მთარშიც და ზაფხულშიც, ქოჩობის დროსაც და ბინადრობის დროსაც დანაშაულობა ხშირია. აი სხვა მაგალითიც: თუშები ზაფხულობით მთებში სცხოვრებენ, ზამთრობით ვაკეში. ესენიც ერთად ერთს საქმეს ადგანან — პირუტყვთ მოშენებას. ამათაც დიდ-ძალი ცხვრის ფარა, ცხენის ჯოგი დაუდით მთაში საძოვრებზედ; ზამთრობით მათი საქონელი დაბინავებულია შირაქში, სადაც თავ-მოყრილნი არიან ყველა თვალ-საჩინო ვაჟ-კაცნი თუშნი, მაგრამ რაო?—ეს მოძრაობა, პირუტყვთ მოშენება, თუმცა, ავტორის სიტყვით, უნდა ჰბადავდეს სხვა-და-სხვა დანაშაულობას, მაგრამ ასე არ გახლავთ — თუში ძნელად ჩაიდენს ცუდს საქმეს... რისთვის ჰგონია ავტორს საძოვრების ნაკლებობა და ამის გამო ავაზაკობის გაძლიერება ქოჩს გუთანს ხელს მოაკიდებინებს? სად და რომელის ხალხის ცხოვრებაში გაგონილა მისგან დასახელებული უცნაური ისტორიული კანონი? როგორ შეიძლება ავაზაკობამ ხალხი მშვიდს ცხოვრებას შეაჩვიოს?—როცა საძოვრები არ ეყოფათ, ჯერ ავაზაკობას დაიწყებენ. მერე... მიწის მუშაობასაო!.. ვერა გაგვიგია-რა... ეს ხომ იმას ეგვანება, ვითომ სახნავი მიწის ნაკლებობა ხალხს ჯერ ავაზაკობას შეაჩვევს და მერე კიდევ... ქოჩობას!.. მაგრამ აწინდელი ქოჩი— თათარი მიწის მხვნელ-მთესველიც არის და თუ ეხლა ის პირუტყვთ მოშენებასაც მისდევს, ეს იმიტომ, რომ მშვენიერი, ფართო საძოვრები ხელს უწყობენ. ქოჩობა, საქონლის მოშენება მისთვის მოუცილებელს საჭიროებას შეადგენს. ტყეების გაშენება, რუების გაყვანა ელისავეტოპოლის და ერევნის გუბერნიის ცხელ მინდვრებზედ, თუნდაც რომ მოხერხდებოდეს, ქოჩობას ვერ მოჰსპობს, რადგანაც ყარაბაღის საძოვრები ზაფხულობით ყოველთვის მიიზიდავენ ხალხს. მოგეხსენებათ, რომ ხალხის ცხოვრება ადგილ-მამულის თვისებაზედ არის დამოკიდებული და თუ, მაგ., თუში პირუტყვთ მოშენებას მისდევს, ამის მიზეზი მისი ადგილ-მამულის თვისებაა. ავტორი იმასაც ივიწყებს, რომ სახელმწიფოს საკმაო შემოსავალი აქვს საძოვრებიდამ და ძნელად მოსაფიქრებელია მან ეს საძოვრები დასთმოს, გააუქმოს. პირუტყვთ მოშენება და ქოჩობა უმეტესად ამ საძოვრებით არის გამოწვეული. ავტორისაგან დასახელებული ღონის-ძიება მას რომ ვერ მოსპობს, სჩანს იმ ფაქტიდამ, რომ იქაც-კი, სადაც ტყეც ბლომად არის და წყალიც, ხალხი ზაფხულობით სტოვებს თავის ბინას და მიეშურება მთაში საძოვრებზედ. აიღეთ მაგ., სპარსეთის სამძღვარზედ მდებარე მიგრის განყოფილება (участокъ). ან არა და—საიდამ გამოჰყავს ბ-ნ თ—ს ვითომ ჩვენი ქოჩნი, ეკონომიურის გაჭირვებისა გამო, სპარსეთში გადადიან საბინადროდ? (639, 640) ეს აშკარა შეცდომაა და მხოლოდ საქმის უცოდინარობით მოსვლია ავტორს. პირ-იქით, თითონ სპარსეთიდამ გადმოდიან საჩვენოში და აქ ჰშოულობენ პურის ლუკმას. თქვენის თვალით უნდა ნახოთ ჩვენის სამზღვრების ნაპირებზედ მკვიდრი სპარსეთის მდაბიო ხალხი, მისი საშინელი სიღარიბე, თუ ნახული არა, გაგონილი მაინც უნდა გქონდეთ იქაურის ხანების და მოხელეების ყოფა-ქცევა, რომ ეჭვი არ შეიტანოთ ჩვენს სიტყვებზედ. მართალია, ჩვენიდამაც გადადიან სპარსეთში, მაგრამ რად?—საავაზაკოდ, საცარცველად!... რა მიიზიდავს, რა გააბედვინებს ჩვენს ქოჩს სპარსეთში გადასახლებას?

რადგანაც ბ-ნი ავტორი მთლად ბრალს სდებს მარტო გარეგანს მიზეზებს და ბძანებს, რომ კავკასიელ მაჰმადიანელების შინაგანი ცხოვრება არაფერ შუაშიაო, ამისათვის იგი უნდო თვალით უცქერის ზოგიერთა მართლაც და სასარგებლო დაწესებულებასაც. მაგ., ავტორს ჰგონია ვითომ, სხვათა შორის, ურთი-ერთობითი თავდებობამაც (круговая порука) ბოროტ-მოქმედება უფრო გაახშირა (620—621) და თავის აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს საზოგადო სტატისტიკური ცნობები. მაგრამ ეს უკანასკნელნი სრულებით არას ამტკიცებენ. აქ საჭიროა ცნობები იმ სასოფლო საზოგადოებათა თაობაზედ, სადაც დააწესეს თავდებობა; მხოლოდ მაშინ დამტკიცდება— შეამცირა თავდებობამ სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედება, თუ არა. მაგრამ ავტორი ასე არ იქცევა. აქედამ ცხადად სჩანს—როგორ სარგებლობს ის სტატისტიკურის მასალით და რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმის მსჯელობას, დასკვნას. ჩვენ კი აი რას ვიტყვით: ურთი-ერთობითი თავდებობა თვით სოფლის, თვით ხალხის საკუთარი დაწესებაა და სადაც ეს დაწესება ხალხის ნებით მოხდა, იქ სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედებაც შემცირდა. მიზეზი ცხადია: საცა საზოგადოების თვითეული წევრი პასუხის მგებელი და ვალდებულია ზარალი უზღოს თავის მეზობელს, მაშინ ყველას სხვის ზარალი საკუთარ ზარალად მიაჩნია, კიდეც ამიტომ სოფელი საზოგადოდ და თვითეული გლეხი კერძოდ ფხიზლად არიან, ერთი-ერთმანეთზედ თვალი უჭირავთ. ასე გახლავთ, მაგ., თიანეთის მაზრაში, სადაც ურთი-ერთობითმა თავდებობამ საკმაო ნაყოფი მოიტანა, შეამცირა ქურდობა და სხვა უკანონობა. მართალია, ჩრდილოეთს კავკასიაში უჩიოდნენ ამ თავდებობას, მაგრამ რადა?—მიტომ, რომ იქ თავდებობა ხალხის ნებით არ მოხდა და ამის გარდა მარტო ერთს მხარეს (ყაზახებს) ანაცვალეს სხვის ინტერესი. მაგრამ ყველგან ხომ ასე არ მომხდარა. ბ-ნი ავტორი კი საზოგადოდ ჰკიცხავს ურთი-ერთობითს თავდებობას.

ამით ვათავებთ ჩვენს გძელს სიტყვას. რა არის თქვენი დასკვნა, მთავარი აზრი?—გვკითხვენ ჩვენ. აი რა არის: ვერავინ წამალს ვერ დაჰსდებს სენსა, თუ წინასწარ თვითონ სენი, მისი მიზეზი, მისი ხელ-შემწყობი გარემოება, მისი თავი, შინაგანი და ბოლო ყოველის მხრით არ გამოიკვლივა და ნამდვილი, ჭეშმარიტი სათავე არ უპოვნა. ბ-ნს თ—ს სწორედ ეს ნაკლი შევნიშნეთ და თუმცა არ შეიძლება არ თანა-ვუგრძნოთ მის უკანასკნელს სიტყვებს (646—647 გვერდი), ხაზის ქვემოდ მოყვანილს, მაგრამ ამით მაინც ვერ გავამართლებთ ავტორს, რომ ფაქტებს კარგად ვერ დაჰკვირვებია და ზოგან საეჭვო ფაქტი ჭეშმარიტ ფაქტად მიუღია. შ—ვები და ამისთანები თუ ჰსცდებიან, იმაში ჰსცდებიან, რომ ამ ქვეყნისა არა იციან-რა, ორიოდე ამბავს ყურით გაგონილს, ან გაზეთში ამოკითხულს ზოგად ფაქტებად გარდაჰქმნიან ხოლმე და ამით ჰსტყუვდებიან თვითონაც და სხვათა გადარევასაც არ ჰთაკილობენ. მართალია, ბ-ნი თ—ი ამ გვარს მამაცობას წინ-აღდგომია, მაგრამ იმისთანა საბუთებით აღჭურვილა, რომელთ სიმართლესაც თვითონ არ დაჰკვირვებია და კრიტიკის ცეცხლში თვითონ არ გაუტარებია. ჩვენ უკვე ვიცით ორ-ნაირის აზრების დენა და თუმცა ერთს ეტყობა ვითომ კონსერვატორობა და მეორეს ვითომ და ლიბერალობა, მაგრამ ჩვენ არც ერთს და არც მეორეს ვერ მივემხრობით. ჩვენის ფიქრით, სიმართლე არც იქ არის, რომ ყოველივე თვითონ კავკასიელთ მთიელებს დაჰბრალდეთ და სხვამ ყველამ ხელი დაიბანოს, როგორც ჰფიქრობს შ—ვი და ამისთანანი, და არც იქ, რომ ყოველივე გარეგანს მიზეზს მიეწეროს და ხალხს კი ყოველივე ბრალი აჰხადოს, როგორც ბ-ნს თ—ს ჰგონია. თუმცა ზოგიერთა უდროოდ მომწიფებული ლიბერალი ამ უკანასკნელს აზრს კონსერვატორობაში ჩამოგვართმევს, ჩვენ ბევრს არ ვინაღვლით, რადგანაც კარგად გვესმის ბიუროკრატულის ლიბერალობის ღირსებაცა. არც ერთი მოგვიხდება ჩვენ და არც მეორე.

ნ. ურბნელი

ახალი ამბავი

⁂ ოზურგეთიდამ გვწერენ: ნატანების გზა და მისი გაკეთება ოზურგეთამდე ჩვენი უპირველესი სურვილია. ამ თექვსმეტ ვერსის მანძილიან გზაზე ცხენი ვერ დადის, ფეხით სიარულიც შეუძლებელია, ეტლებით ხომ მით უფრო--იმდენად ოღრო-ჩოღროიანი, გაუვალ ჭანჭრობებითა და გუბებით არის სავსე მთელი სივრცე ამ ბედკრულის გზისა. რა კი ბათუმის რკინის გზამ გვერდი ჩაუარა გურიის ორ-მესამედს ნაწილს და მისს მთავარს ქალაქს ოზურგეთს, ამ უკანასკნელის შეერთება შარა-გზით რკინის გზის უახლოესს სადგურთან აუცილებელ საჭიროებად დაინახა თვით მმართებლობამ, რომელმაც თანამდებ ჰყო რკინის-გზის მმართველობა ექვსის თვის განმავლობაში ოზურგეთისა და ნატანების შორის (უახლოესი სადგური) გზის გაყვანისთვის. სულ გზის სიგრძე 16 ვერსი, და თერთმეტი ვერსის სიგრძე უკვე გაკეთებული იყო წასრულის ომიანობის დროს, მაშასადამე მხოლოდ ხუთი-ოდე ვერსის სიგრძეს გაკეთება-ღა იყო საჭირო. ის იყო რკინის-გზის მმართველობა შეუდგა გზის კეთებას; უეცრად თავი წამოჰყვეს ადგილობრივთა მოჭახრაკეთ, გაძვრენ — გამოძვრენ სხვა-და-სხვა პროექტებით გზის გაყვანის შესახებ

«კაცი ჟამანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა!...»

პურის გამოცხობა, საჭმლის გაკეთება და შინაურობის მოვლა ხომ ყველგან დედა-კაცის ვალია. ფშაველი ირთავს ცოლს მოტაცებით,—ეს სახელად მიაჩნია. მოტაცებით ცოლის შერთვა ძველად ევროპიის ხალხებმაც იცოდნენ და, როგორც მოგვითხრობენ მეცნიერნი, სპენსერი, ლებოკი და ტაილორი, დღეს ეს ჩვეულება ველურ ხალხს აქვს ისევ მტკიცედ. ტაილორს მოჰყავს ქილიამსის სიტყვები ქალის მოტაცებაზე: «ფიჯის კუნძულების მცხოვრებნი იტაცებენ საცოლოებს ანუ ისე თითქო ძალას ხმარობენო, ანუ მართლა ძალით» *). ფშაველებში მოტაცება ქალისა ისე ხშირად აღარა ჰხდება დღეს, როგორც წინედ, რადგან «კანონისა» ეშინიანთ. რაკი ცოლს მოიყვანს ფშაველი, გაიჩაღებს ქორწილს, რომელიც სამი დღე მაინც გასწევს ხოლმე დიდის ამბით და, რასაკვირველია, დიდის ხარჯითაც. ნახევარ წლის განმავლობამდი ის არ ელაპარაკება ცოლს, ოჯახში «ახალ ყოვლნი», ასე ეძახიან ახლად დაქორწილებულებს, —უმზრახად სხედან და თუ არავინ ჰხედავს, რა თქმა უნდა, ერთმანეთს დაუტკბებიან. ეგრეთვე რძალი მოკრძალულია მამამთილთან. ამის მსგავსი ჩვეულება მოჰყავს ტაილორს სხვა-და-სხვა ხალხების ცხოვრებიდამ და აქვს მოქცეული X თავში. აი მისი სიტყვები: «ინდოელი სიდედრი და სიმამრი ვერ შეხედავს პირ-და-პირ თავის სიძეს; ესევე ჩვეულება აქვს კრისებს და ფიჯიის კუნძულების მცხოვრებთა. მონგოლებს და კალმიკებს აქვს ჩვეულებად,—პატარძალს არ შეუძლიან დაელაპარაკოს თავის მამამთილს,—ვერც დაჯდება იქ, საცა მამამთილია.» **) ტაილორი განაგრძობს ამ ზევით მოყვანილ ხალხების ჩვეულების გამო, რომ «სიძეს არ შეუძლიან ახსენოს სიმამრის და სიდედრის სახელი». მეცნიერი შეწუხებულა და ამბობს: «მიზეზი ამ ჩვეულებისა სიბნელით არის გარე-მოცულიო»***).

ფშაველი ქმარი და მისი ცოლი ისე დაჰბერდებიან, რომ ერთმანეთს სახელს არ დაუძახებენ,—ეს უნამუსობად, სირცხვილად მიაჩნიათ. ათასში ერთი გამვლელ-გამომვლელი ფშაველი თუ არ ემორჩილება ამ ჩვეულებას, თორემ დანარჩენს—უმეტესობას კი ისევ მაგრა უჭირია ხელი ამ ჩვეულებაზედ. როდესაც «არ მოგდისა(!)», იძახის ფშაველი, —ეს იმის ნიშანია, რომ ცოლს ეძახის. ფშაველი, თანახმად ძველის ჩვეულებისა და მოსეს რჯულისა, გააგდებს ცოლს, თუ არ გამოადგა და «განსატევებელს» აძლევს ხუთს ძროხას. მეთვეურობის ანუ წიდოვანების დროს დედა-კაცი გაჰყავთ სახლს გარეთ, ცალკე აგებულს სახლში (ქოხში), ან გომურში. დედა-კაცი იქ უნდა იყოს, მანამ არ მორჩება. მერე იბანებს და ისე შედის საჯალაფო სახლში. მშობიარე დედა-კაცს ფშაველი გაუკეთებს ქოხს სადგომს სახლზე კარგა მოშორებით და გაიყვანს დედა-კაცს იქ, რადგან საჯალაფო სახლში შვილის შობა სახლის გაუწმინდურებად, «შელახვად» მიაჩნია.

დედა-კაცი უბებიოდ ჰშობავს. ვაკე-საქართველოში—ქართლში და კახეთში ორსულს, ფეხ-მძიმე დედა-კაცს ისე უფთხილდებიან, რომ ცივს ნიავს არ მიადენენ, არაფერს გააკეთებინებენ, რა არის მუცელი არ წაუხდეს. ფშაველი ორსულს დედა-კაცს არამც თუ არ აკეთებინებს საქმეს, საჭიროდაც მიაჩნია ფეხ-მძიმე დედა-კაცის მუშაობა, რომ ყრმა დიდი არ გაიზარდოს და შობა გაუადვილდეს. ამიტომ ხშირად მოხდება რომ, როდესაც დედა-კაცი არის საქონელში, იქ ჰშობავს და ერთის მაგივრად ორი მოუვა სახლში «ჯალაფთ». თუ ბალღმა ყვირილი არ დაიწყო, ვერცკი შეატყობთ თუ დედა-კაცს შვილი ჰყოლია. სიკვდილი დედა-კაცისა მშობიარობის დროს იშვიათი შემთხვევაა. მშობიარეს ისე ერიდება ხალხი, როგორც უწმინდურს, თვითონ დედა-კაცები საჭმელს ქოხის სარკმლიდამ ჩააწოდებენ... დედაკაცი უწმინდურად ითვლება შვიდს კვირას. ეს ჩვეულება შეეთანხმება მოსეს კანონს: «და ეტყოდა უფალი მოსეს და რქვა ეტყოდე შენ ძეთა ისრაილისათა, და რქვა მათ, დედა-კაცმან რომელმან მუცლად იღოს თესლი და შვას წული, არა წმინდაჲ იყოს იგი შვიდ დღე».*) უნდა აქ შევნიშნო, რომ ებრაული რჯულის წესები, როგორც თვითონ მკითხველი დაინახავს ქვეით, თვალ-საჩინოდ სჩანან ხატების თაყვანის ცემასა და ხევის-ბერობაში.

ფშაველის დედა-კაცი არის მაგარი და გაუტეხელი; კლდეებთან და ბუნებასთან ბრძოლის გამო მისი ხასიათი არის ნაწრთობი. ამიტომ სახლში მამა-კაცის უყოლობა ისე არ დააწიოკებს ოჯახს, როგორც ბარად მოხდება; დედა-კაცი თუ დაქვრივდა, თვითონ დადგება გუთნის-დედად და თავის მარჯვენით დაარჩენს ობლებს.

სახლი ფშაველისა არის ფართო: კედლები აქვს ყორისა უკირო (ციკლოპური) და ყორეზედ არის დაწყობილი დაუთლელი მსხვილი შოლტები (ხეები); შუაზე ანთია ზამთარ-ზაფხულ გაუქრობელი ცეცხლი. კერა ორ-პირად არის გაყოფილი: ერთი საკაცო, მეორე—სადედა-კაცო. დედა-კაცები სხედან ერთს მხარესა, კაცები მეორეზე; საკაცოში დედა-კაცს არ შეუძლიან დაჯდომა. ფშაველს უყვარს თავის კერაზე ყოფნა და მუსაიფი სტუმართან. იგი ჰცხოვრობს საქონლით—ცხვრით და ძროხით, ხნავს იმდენს, რამდენიც მის სახლობას ეყოფა. ორი ძმა რომ იყოს ოჯახში, ერთი მიდის ცხვარში, თრიალეთს და შირაქსა, მეორე უვლის შინაურობას,—თავისსა და ძმის ცოლ-შვილსა. ფშაველს თუმც უყვარს შინ ყოფნა და ზამთრობით ცეცხლის პირას დიდხანს სიფხიზლე და ფანდურით შექცევა, მაგრამ სარგებლობის გულისთვის მიდის აქეთ-იქით. ამ მოკლე ხანებში ფშავლებმა იწყეს სიარული სამუშაოდ კავკავს; აგრეთვე ჩადიან კახეთს, იქ ჰხვეწენ ხის ჯამებს, ხონებს, ტაბკებს, ვარცლებს, რომლებსაც ჰყიდიან და თვითონაც ჰხმარობენ.

---

*) Доисторич. бытъ человѣчества, Таилора გვ. 388.

**) Доистор. бытъ человѣч., Таилора გვ. 391.

***) იგივე თხზულება, 392.

*) იხ. დაბადება. წიგნი პირველი. ლევიტელთა წიგნი მოსესი თავი ია.

და იმდენი მოახერხეს, რომ სარკინის გზის მმართველობამ მათ გადასცა გაკეთება შემდეგის პირობებით: მმართველობას უნდა მიეცა მათთვის ორმოცი ათასი მანათი და მოიჯარადრებს კი უნდა გაეყვანათ გზა და გაედვათ მდინარეებზე ხიდები ცხრა თვის განმავლობაში. პირველმა მხარემ სინიდისიანად აღასრულა თვისი პირობა, მაგრამ მეორე მხარეს დღესაც-კი, მეოთხე წელიწადს, არა აქვს შესრულებული, თუმცა, როგორც ზემოდაც ვსთქვით, მხოლოდ ხუთს ვერსზედ უნდა გაეკეთებინა გზა ახლად (დანარჩენს მცირე შეკეთების მეტი არა სჭირდებოდა-რა)... დრტვინვა და საჩივარი ამ ფრიად საჭირო გზის გაუკეთებლობის გამო მრავალია, მაგრამ ჯერ მაინც «არ ვინ იცის, რა იქნება რისაგან»...

⁂ ხონიდამ გვწერენ: განუწყვეტელმა და ერთობ ძლიერმა აღმოსავლეთის ქარმა ძლიერ შეაწუხა ქვემო-იმერეთი. სოფელში დარწმუნებით ამბობენ, რომ იმისთანა მოსახლე არ იქნება ახლა ჩვენში, რომელსაც ამ ქარისაგან ერთი თუმნის ზარალი მაინც არ მოსვლოდესო; აღარ შეგვარჩინაო აღარც სახლის სახურავები, არც ღობეები და ჩალურები და სხვა. საქებია დაბა ხონის მოვაჭრეთა სიფხიზლე ამ ქარიანობის დროს; სიმშილსა და სიცივეს ითმენენ და თითქმის უცეცხლურად ცხოვრობენ. ღამ-ღამობითაც ზოგიერთ ბოროტ-განმზრახველთაგან დამფრთხალნი რიგ-რიგად ყარაულობენ და ფხიზლობენ. წვიმა, გინდ თოვლი ბედნიერების მასალად მიგვაჩნია, მაგრამ სად არის? აგერ ორი კვირა გადის რაც გვიცევა ცხვირ-პირში მტვერი და ქვიშა, თავზედ ისლი, ყავარი და ქესტი; ამ ბოლოს დროს კრამიტებიც წამოგვიშინა...

⁂ აღბულაღიდამ შემდეგს ამბავს გვატყობინებენ: ერთი გლეხის ოჯახში სახლის უფროსები დამთვრალან და ჰერეხივით წაყრილან. 12 წლის ყმაწვილს ლამფა აუნთია, და კერაზე დაუდგავს. ლამფა უცბად გადმოვარდნილა, ნავთი ყმაწვილს გადმოსხმია და მოჰკიდებია. ყმაწვილი გარეთ გავარდნილა და ყვირილი დაუწყია: — მიშველეთო! მთვრალი უფროსები სახლიდამ გამოცვივდნენ თურმე ამ ყვირილზე და ნავთს წყლით დაუწყეს ქრობა. ნავთი, რასაკვირველია, უფრო გაძლიერდა, საწყალი ყმაწვილი საშინლად დაიბუგა და მეორე დილას სული დალია.

⁂ გუშინ სამოსამართლო პალატამ განიხილა სააპელაციო საჩივარი კონსტანტინე ვასილის-ძის ქელბაქიანისა, რომელსაც დაჰბრალდა ექვთიმე მჭედლიძის მოკვლა. როგორც მკითხველს საზოგადოებას ეხსომება კ. ქელბაქიანს ქუთაისის ოლქის სასამართლომ გადუწყვიტა კატორგა 11 წლის ვადით. ტფილისის სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ქუთაისის სასამართლოს გადაწყვეტილება.

⁂ ჩვენ შევიტყვეთ, რომ სახელგანთქმული მამული თ. დავით ჭავჭავაძისა კახეთში სულ გაუყიდნიათ, მუღანლოს გარდა ერთ მილიონ ორმოც-და-ათი-ათას მანათად (1,050,000 მან.).

⁂ კვირას, 9 თებერვალს გაუგზავნიათ ბაქოში რკინის გზით მუშათა ერთი გუნდი რიცხვით 600 კაცი, პირველს გუნდში ყოფილა 250 კაცი. ბაქოდამ მუშები გაიგზავნებიან სამუშაოდ იმიერ-კასპიის მხარეში, სადაც ეხლა რკინის გზა გაჰყავთ. ამ მუშებს გენერალი ანენკოვი მთელის წლის პირობით შეჰკრია. თითო მუშისთვის წელიწადში ათი თუმანი ჯამაგირი დაუნიშნავთ და საჭმელ-სასმელიც სახელმწიფო უნდა ჰქონდეთო. ამასთანავე ყველა მუშისთვის დაურიგებიათ: თითო თბილი ტყავი, ხუთი მანათი ფული, ჯამაგირის გარეთად და დღეში ექვს-ექვსი შაური საგზლად. («Нов. Обоз.»)

ნაკვესი

იმერელს თურმე სიმინდი გამოჰლევია სარჩოთ და წასულა გურიაში სასყიდლად. მიუსწავლებიათ ერთის გურულის სახლი,—იქ იშოვიო. მისულა და უნახავს, რომ ის გურული მიწასა ჰხნავს. თითონ გურულს კავი ეჭირა და მეორე—კი წინ მიუძღოდა ხარებს. იმერელმა გაიკვირვა და უთხრა:

— შე გურულო, ასთე კი არ უნდა ხვნა. წინ ხარებს კაცი არ უნდა მიუძღოდეს, მარტო ერთი კაცი უნდა ჰხნავდესო.

— შენ, ჩემო ძმაო, ცოლ-შვილიანათ გასძღოლოდი ხარს წინ და ჩემთან მჭადის სასყიდლად არ მოსულიყავ, იგი გრჩიაო, უპასუხა გურულმა.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ხელთუბანი, 6 თებერვალს. აწინდელი ხელთ-უბანი ძველად თურმე ხევთ-უბნად იწოდებოდა, რადგანაც როგორც ამბობენ, უშველებელ ხევზედ იყო გაშენებული; მაგრამ ჟამთა ვითარებას ეს ხევი გაუმიწისპირებია და ამასთან ერთად სოფლის სახელში ერთი ასოც შეუცვლია.—ხსენებული სოფელი ქ. გორიდან ექვსი ვერსტის სიშორეზედ მდებარეობს და ამასთანავე შეერთებულია მასთან მშვენიერი გზა-ტკეცილით. სოფელი ხელთ-უბანი მშვენიერ და ფართო მინდორზედ გაშენებული. ამნაირი მდებარეობა ძალა უნებურად უღვიძებს აქაურს გლეხს ხვნა-თესვის სიყვარულს და მართლადაც ხელთ-უბნელი გლეხი რაც ძალი და ღონე აქვს ეჭიდება შავს მიწას, ჰრწყავს თავის ოფლით წლიურ სარჩოს მოსაპოვებლად. თუმცა ბუნებაც უფასებს შრომას, მაგრამ ბევრს გლეხს არ მიჰყვება ხოლმე წლის დამლევამდის პური. რაიცა შეეხება მევენახეობას, ხელთ-უბნელი კაცი გამოცდილი არ გახლავთ ამაში. ესეც ბუნების ბრალია. აქ ვაზი არ ვარგობს, თუმცა არის რამდენიმე ვენახი, მაგრამ მათ წონა ვაი ვაგლახი უნდა. აქაური ვენახი ხარჯის ფასს არ იძლევა. ღვინოც არ იცის კარგი. ,,გლუჯვენის წვენია'' სწორედ. აქაურს მცხოვრებლებს ქართველები და სომხები შეადგენენ. მაგრამ უნდა კი მოგახსენოთ, რომ ეს ორი ხალხი არაფერში არ გაირჩევიან. ორთავენი ერთ ბედ-ქვეშ გახლავან და ძალა უნებურად ერთს ჭაპანს ეწევიან,—უყოფენ ერთმანეთს ჭირსა და ლხინსა. რასაკვირველია ეს შესამჩნევი მოვლენა გახლავსთ, რადგანაც, როგორც გამიგია, ზოგ სხვა სოფლებში და ქალაქებში ეს ორი თანა მოძმე ხშირად ვერ ეწყობიან ერთმანეთსაო. ერთმა გარემოებამ აქაც მცირედი უკმაყოფილება დაჰბადა. ხელთ-უბანში 1884 წელსა გაიხსნა სკოლა, სადაც პირველადვე ოც-და-ექვსი ყმაწვილი მოგროვდა: ქართველებისა და სომხებისა. დავაცადოთ პატარა ხანი და სომხის ყმაწვილებმა ტირილით ჩააბარეს ისევ მასწავლებელსა წიგნები: აღარ უნდა მოვიდეთო, ფულებს გვახდევინებენო, ტრაფი არისო, გადაიბირა თურმე ვიღაცამ სომხობა. კვლავ ერთმანეთის გამტანი მოძმე ეხლა უკუ დგება! რათა? რა მიზეზია? პასუხი დაფარულია და ერთი და იგივე უმიზეზო უარი გაისმის: ,,არ გვინდა და არ გვინდა!'' მაგრამ, მადლობა ღმერთს, ღრუბელმა გადაიარა, და წვიმა აღარ მოსულა—ანუ წვიმა თუმცა მოვიდა, მაგრამ დიდ-ხანს არ გასტანა ამ წვიმამ. სომხები და ქართველები ეხლა ისეთივე ძმები არიან სკოლის შესახებ, როგორც კვლავ ყოფილან. შეინანეს ცოდვა და ყმაწვილებიც მოჰყავთ. აქაური სკოლა მოთავსებულია დროებით ნათხოვარ სახლებში, რომლებიც თ. დავით თუმანიშვილისაა. ძალიან კარგი იქმნებოდა, რომ მინამდის ვადა გავიდოდეს საკუთარი შენობისთვის ეზრუნათ სკოლის მზრუნველებს, თორემ შეიძლება ვადის გასვლის შემდეგ სახლის პატრონმა ქირა მოგვთხოვოს და რასაკვირველია ეს სკოლის თანხისთვის შესამტკისი არ იქნება.—ხელთ-უბნის სკოლაში ეხლა სამი განყოფილებაა და ამ განყოფილებებში 35 მოწაფეა—ვაჟი და ქალი. იმედია რომ ეს რიცხვი საგასოდ გაორკეცდება, რადგანაც მსურველი ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ, ეხლა, როგორც მოგახსენებთ, დრო აღარ არის ყმაწვილების მიღებისა სკოლაში. ხელთ-უბნელები ეხლა ძალიან თანა უგრძნობენ სკოლას. შემოდიან კლასში, თვალ-ყურს ადევნებენ თავიანთ შვილების წარმატებას და ამით ხარობენ. ბევრი ნანობს და იძახის: «აბა, ჩემი ბიჭი რომ შარშან მომეყვანა და სხვის სიტყვას არ ავყოლოდი, ეხლა იმასაც ხომ ეს ექნებოდა გაზეპირებული წიგნიო, მაგრამ ეჰ, წამწყმიდა წახდენილებამაო».

სეითი

დამაკვირდი!

ყველაზედ ძნელია კაცმა კარგად ილაპარაკოს მაშინ, როცა ჩუმად ყოფნა სირცხვილია. (ლაროშფუკო)

⁂

რამდენი კაცია ქვეყანაზედ იმისთანა, რომელიც ჰლაპარაკობს და სწერს მარტო იმისთვის, რომ არა ჰსთქვას რა. (ბუსტი)

⁂

ქალმა რომ იცოდეს რა ძლიერი ფარ-ხმალია მისთვის სიმშვიდე და სიწყნარე, სხვა ფარ-ხმალს თავის დღეში აღარ იხმარებდა. (ბონნი)

⁂

სიყვარული მამა-კაცისათვის, ერთი მოწყვეტილი ამბავია, მისის ცხოვრებიდამ ამოღებული, ქალისათვის კი—მთელი ისტორიაა ცხოვრებისა.
(ჟან-ჟაკ რუსსო)

⁂

სიყვარულზედ იგივე ითქმის, რაც წვეტიან მთაზედ: ახვალ თუ არა წვეტზედ, უნდა მაინ დაეშო.
(დელევისი)

⁂

ცემა გმართებს გამზრდელისა,
რა ყრმა ჰნახო ავად ზრდილი.
(მეფე ვახტანგ VI)

როგორც ყველა გაუნათლებელი კაცი ფშაველი არის ცრუ-მორწმუნე: ეშმაკებით და დევებით სავსე ჰგონია ქვეყანა. თვითეულს ადგილს, მთას, გორას, ხევს, მისის წარმოდგენით, ჰყავს დედა, რომელსაც «ადგილის დედას» ეძახის. მონადირეს რომ დაუღამდეს სადმე მთაში, ან ხევში, მიებარება ადგილის დედას: «ემ ადგილის დედავ, შენ გებარებოდე, შამინახე შენის მადლით და დავლათითო!» დავლათი საშინლად სწამს ფშაველს. მდიდარს, წინ წასულს კაცს ის ეძახის დავლათიანს (იღბლიანს), ფშაველს ზოგი კაცი ზოგს ხატზე იღბლიანი ჰგონია; უყვარს ნადირობა და ჰგონია ნადირსაც თავისი საკუთარი პატრონი ჰყავს, ის ევედრება ნადირთ პატრონს, წარმოიდგენს იმას პატარა ქალად, რომ ხელი მოუმართოს; სწამს სიზმარი. მონადირე სიზმრით იგებს, რომ ნადირს მოჰკლავს: «წუხელის, ძმისავ, კარგი სიზმარი რამა ვნახე, ტყავს რასმე გავზიდავდი, ლეშს რასამ ვკიდებდი კირჩხაზე».

ფშაველს სწამს ძლიერ კვირა-უქმე და შაბათი. კვირა-დღე იარაღის ხმარება და საქმის გაკეთება დიდ ცოდვად მიაჩნია, რომელსაც მოსდევს კაცით, ან საქონლით დაზარალება. შაბათი ფშავლის წარმოდგენით «ინათლება». შაბათის ნათელა იმაში მდგომარეობს, რომ ფშაველს შეუძლიან ამ დღეს იმუშაოს, მხოლოდ იმ ღამეს უნდა თხა დაჰკლას და სანთლები მოანთოს. სადაც ფშაველი დაინახავს ნანგრევებს, ქვას, ან კლდეს, რომელსაც ადევს რამე განსაკუთრებითი ნიშანი და გამოიწვევს ფანტაზიის აპილპილებას, იქ დასახავს, ან ანგელოზებს, ან ეშმაკებს; იმას სწამს ორ-ნაირი მკითხავი: ერთი სულისა და მეორე—ხატისა. ის დარწმუნებულია, როგორც ჯერედ ბევრი ველური ხალხები, რომლებთაც ჰსწამთ, რომ მიცვალებულთ სულები უხილავად იღებენ მონაწილეობას კაცის ცხოვრებაში, ნდომობენ სასმელ-საჭმელს როგორც ცოცხლები და ხან-და-ხან კიდეც ემიზეზებიან თავის ნათესავებს, თუ ამათ რამე სამსახური დააკლეს. სულის მკითხავს ეცხადება სულები და, მის შემწეობით, თვითეული სული აგებინებს ნათესავს თავის საჭიროებას. მეორე ნაირი მკითხავი არის ხატისა. რაც კი უბედურება შაემთხვევა, ფეხიც რომ გადაუბრუნდეს, ფშაველი აწერს ხატის «მიზეზს»: მიდის მკითხავთან საკითხვინებლად, მკითხავი უპოვის რომელიც თვითონ მკითხავს უნდა იმ ხატის მიზეზს, შააწერს ცხვარს, ან კურატს და გაისტუმრებს გულ-დამშვიდებულს შინ გონება-გაყინულს სტუმარს. ფშაველი ხშირად კიდეც დაემდურება ხატს, თუ იმან არ შეიწირა მისი შესაწირავი და არ აუსრულა თხოვნა: «რა ვიცი, ღმერთმა იცის, სიალნის (სიმათლის) მეტი ქვეყანასთან არა მიმიძღვის, მაგრამ ბედენა ვერაი ვქენ, ხატისად არა დამიკლავ, ცოცხლისად, მკვდრისადა, ვინც გულ-მრუდია ის უფრო ჩემზე კარგა ჰცხოვრობს!! როდესაც კვდება ვინმე ფშაველს ჰგონია, რომ «მგებრნი» (სულები) მოვლენ და ისინი წაიღებენ ახლად მიცვალებულის სულს. მგებრად საიქიოდამ მოდიან «უკლონი» ანუ ვინც უძეონი დაიხოცნენ. ფშაველი ფატალისტია: კაცს, რაც შუბლზედ აწერია, ის არ ასცდება; კაცი უმწერლოდ, ესე იგი, თუ არ წერით, არ მოკვდება. ფშაველს რომ ურჩიო, შვილები მიეცი სკოლაშიო,—ის მაშინვე იმას გიპასუხებს: «ჩვენთვის ესე დაუწერია ღმერთს, ესე უნდა ვიყვნეთო».

ქრისტიანული წესებიდამ ყველაზედ მომეტებულად სწამს ზიარება, მონათვლა და მარხვა, განსაკუთრებით, დიდ-მარხვა. ზიარებას ისე უცქერის ფშაველი, როგორც სამკურნალო წამალს, ამიტომ ეზიარება მხოლოდ ავად-მყოფობის დროს. ახალის მიცვალებულის პატრონი ვერ მოჰკლავს უწმინდურს ცხოველს, რადგან იმას სწამს, რომ იმ უწმინდურის ცხოველის სული გააუწმინდურებს კაცის სულს; თუ სანადიროდ წასული ფშაველი ნადირს ესვრის და ააცდენს, მაშინვე იფიქრებს, რომ თოფი შეკრულია გაუწმინდურებით, ან თვალის ვნებით. ამიტომ იგი არ ესვრის თოფს ყორანს, ძაღლს და კატას, ამათ შეუძლიანთ თოფის შეკვრაო. ვინც კატას მოჰკლავს, იმან საიქიოს უნდა ცხრა საყდარი ააშენოს; ვინც გაბედავს კატის მოკვლას და მის ფეხებს ატარებს თან, იმას ხატი ვერაფერს დააკლებს, ან, როგორც თვითონ ამბობენ, «ხატი არ მიუდგებაო». კატა ვიცით რომ ძველად ეგვიპტელებს მიაჩნდათ ღმერთად და ინდოეთში კატებისთვის არის აშენებული ტაძარი, იქ ქალები არიან მონოზნად, უვლიან და ჰბანენ კატებსა. ფშაველი ფჩხილის ნაკვეთს, თმის ნაკრეჭს და პირის ნაპარსს არ გადააგდებს, ეშმაკი დაეპატრონებაო. ამიტომ ან დასწვავს, ან კიდე დამალავს სადმე მოფარებულს ადგილას. როდესაც საქონელი დაჰრჩება ღამე გარედ, ფშაველი ულოცავს, რომ მგელს კბილი ანუ პირი შეუკრას. თევდორობა ღამეს მარილის სანაყს ქვას (გურჩს) მიაბმენ ფშავლები ბოძზე წნელით, ჩაუდებენ ნალვერდალს, სრულად დარწმუნებულნი, რომ მგელს ამითი პირი დაეწვებაო; ამ ღამეს დედა-კაცი გამოაცხობს კვერებს მგლის სახისას, რომლებსაც «მგელთ კვერებს» ეძახიან. მეორე დღეს ბალღები მგელთ კვერებს ისრებით «ჰკოდენ».

ახალ-წლის ღამეს დედა-კაცი აცხობს «ბედის კვერებს» ყველა სახლში მყოფის კაც-დედა-კაცისთვის და ერთს საზოგადო კვერს. მეორე დღეს კვერებს ნახვენ, ვისიც კვერი გასივდება,—ის იმატებს იმ წელს. საზოგადო, საოჯახო კვერში არის ჩანიშნული ცხვარი, ძროხა, ფუთკარი და სხვა. რომელიც ამათგანი გასივდება, ის მოიმატებს... ახალ-წელიწადს, როდესაც მეკვლე მოდის, ამ კვერს შეაგორებს სამჯერ სახლში. თუ წაღმა მიდის კვერი, ოჯახის საქმეც წაღმა ივლის, თუ უკუღმა—ოჯახის საქმეც უკუღმა წავა. მეკვლეს დააბერებენ თაფლ-ერბოთი; ყველიერის შაბათს უდუღებენ ჩიტებს და თაგვებს ფაფას, გაუტანენ ბანზე ნაფოტებზე გაკრულს. ბალღი ჩასძახის დედას საკრმლიდამ:

— დედავ, რასა იქ?

— ჩიტთა-ფაფასა, უპასუხებს დედა.

— ჩიტნი რას ჰსჭამენ?

— სხვათა ყანასა.

ეს ჩვეულება მიაჩნიათ თაგვების და ჩიტების მოსამდრიელებელ საშუალებად. პარასკევ დღეს დედა-კაცი მატყლეულს არაფერს გააკეთებს, ცხვარი დარეტიანდებაო.

(შემდეგი იქნება)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთმა «Московскія Вѣдомости» თავისებურად შეჰხედა ბისმარკის სიტყვას. გაზეთის აზრი სრული ყურადღების ღირსია. აი პოლიაკების წართმევის შესახებ გაზეთი რას ამბობს:

რომ რკინის კანცლერი, ე. ი. ბისმარკი, თავისას გაიტანს და საქმეს სისრულეში მოიყვანს, ამას ლაპარაკი არ უნდა. ამისთვის სულ ერთია, სადა უნდა წავიდნენ პოლიაკნი-მებატონენი, როდესაც მამულები წაერთმევათ. ბისმარკის სიტყვაში ეს ადგილი განსაკუთრებითი ყურადღების ღირსია. პოლიაკები თავიანთ მამულებში აღებულს ფულს პარიჟში და მონაკოში გაჰფლანგვენ, თუ გალიციაში ან ვისლის ორივე ნაპირზედ ახალ-მამულებს შეიძენენ,—ეს ბისმარკისთვის სულ ერთია. მაგრამ ჩვენთვის კი სრულიადაც ერთი არ არის. 1863 წლის არეულობის შემდეგ ჩვენცა ვცდილობდით, პოლიაკების მამულები რუსებს შაეძინათ, ეს ცდა ძვირად დაგვიჯდა, მაგრამ ამ ცდიდამ მაინც არაფერი გამოვიდა. თითო-ოროლა მამულის პატრონი თუ დასახლდა თავის ახლად შეძენილს მამულში, თორემ უმეტესს ნაწილს მერე ერთხელაც ზედ არ დაუხედნია. სახელი ძვირად დაგვიჯდა, სახრავი კი არა გამოვიდა რა. ეხლა ხომ, მგონი, რუსების მიწის მფლობელობის კვალიც აღარ დარჩება პოლშაში: უეჭველია მამულები ასე თუ ისე პრუსიიდამ გადმოსახლებულ პოლიაკ-მებატონეთ და იმათ აგან-ჩაგანების ხელში გადავა. ნუ თუ ეს ჩვენთვის სასურველია? როდესაც პრუსიის მინისტრი პუტკამერი მთავრობის განზრახვას და მოქმედებას ესარჩლებოდა, სხვათა შორის ისიც წარმოსთქვა, რომ ვისლის ორივე ნაპირზედ ნემეცების დასახლება ჩვენთვის სასარგებლოო და საჭიროაო. რის თქმა უნდოდა პრუსიის მინისტრს იმ სიტყვებით, ეს ჩვენთვის სულ-ერთია, რამდენად «სასარგებლოო და საჭიროა» რუსეთისთვის ნემეცების გაძლიერება ვისლის ნაპირებზე ჩასაფიქრებელია; და რომ ჩვენთვის რუსების დასახლება და განძლიერება ამ მხარეში არამც თუ «სასარგებლოა», არამედ აუცილებელიც «საჭიროც» არის იმავე მიზეზის გამო, რა მიზეზითაც პრუსია ცდილობს ამ ადგილის განემეცებას, ამას თქმა აღარ უნდა: ნაპირები უთუოთ შუა-გულს უნდა შეუერთდეს, შეუდუღდეს. ამას მოითხოვს სახელმწიფო სიმკვიდრე და სიმტკიცე. სახელმწიფო ვერ შეიწყნარებს თავის ნაპირებზე უცხო ერსა და მით უფრო იმ ერს რომელიც მტრულის თვალით გამოიყურება.

გაზეთის აზრი აშკარაა!

⁂

ჟურნალ «Русская старина»-ში დაბეჭდილია გამოჩენილის რუსეთის ისტორიკოსის კოსტომაროვის ცხოვრების აღწერა. გარდაცვალებულმა ისტორიკოსმა სახელი გაითქვა თავის დაუღალავის, თავ-განწირულის შრომის მოყვარეობით; ხანდისხან რამდენიმე თვით შინ დაიკეტებოდა თურმე და თავ-აუღებლად მუშაობდა, თუმცა ძალიან მოძრავის და ცოცხალის ხასიათის კაცი კი იყო.

კოსტომაროვი, ამბობს ცხოვრების აღწერის ავტორი, ყოველთვის ჰპოულობდა დროსა და ესწრობოდა ყველგან, სადაც კი გული იზიდავდა. ხშირად შეჰკვრებოდით ნაცნობებთან, თეატრსა, ბალსა და კონცერტებში. მეტადრე ოპერა და მუსიკა ძალიან უყვარდა. ხშირად ეტყოდა ხოლმე თურმე თავის ცოლს: «აბა ერთი დაუკარ რამე!»—ო

თუმცა დროს გატარება უყვარდა, მაგრამ ამასთანავე ისე ბევრს მუშაობდა, რომ რუსეთში ვერც ერთი მწერალი ამას ვერ შეეცილებოდა. მწერლობაში ყოველთვის შეჰკვრებოდით მის ნაწერებს. ამიტომ, როდესაც ამბობდნენ, რომ კოსტომაროვი ძალიან ავად არისო, არავისა სჯეროდა: თუ მართლა ავად იყოსო, ამდენს როგორღა ჰსწერსო.»

მხოლოდ იმის სიკვდილმა ყველა დაარწმუნა, რომ კოსტომაროვი მართლა მძიმე ავად-მყოფი ყოფილა ბოლოს დროს.

კოსტომაროვზე შეიძლება სწორედ ითქვას, რომ სიკვდილის დროსაც კი კალამი ხელიდამ არ დაუგდიაო. ამ მაგალითით იმან ცხადად დაამტკიცა ბისმარკისაგან წარმოთქმული სიტყვა, რომ მე პარლამენტში უნდა მოვკვდეო, ჩემს საყარაულოზე: «მუშა ხარი უღელში უნდა მოკვდესო.»

ნეტავი ჩვენში მაშინ მაინც შეებან ხოლმე საქვეყნო საქმის უღელში, როდესაც ჯანი და ახალგაზდობა მოსდევთ, თორემ სიბერესა და ავად-მყოფობაში ვიდა რას მოსთხოვს!

⁂

«სატყეო საზოგადოებას» გარდაუწყვეტია, ამ წლის დამლევამდე მეტყევეთ საზოგადო კრება მოახდინოს ხარკოვში. გაზეთი «Новоти» დიდის სიამოვნებით ეგებება ამ ამბავს და მომავალს კრებას შემდეგის სიტყვებით მიჰმართავს:

ვისურვებთ, რომ მომავალი კრება «მსოფლიო საქმეების» გამოკვლევას არ გამოსდგომოდეს და მთელი თავის ყურადღება მიეგდოს იმ საგნებზე, რომელიც პირ-და-პირ ტყის საქმეს შეეხება. ტყეების გაშენება სამხრეთს რუსეთში, იმ ტყეების დაცვა, რომლებიც ჯერ სრულიად არ გადუკაფავთ, რიგიანი ტყის პატრონობა, შეშის მაგიერ სხვა საწვავის გავრცელება,—აი ჩვენის აზრით ის საგნები, რომელზედაც მომავალმა მეტყევეთა კრებამ უნდა იქონიოს დალაგებული სჯა და ლაპარაკი.

ჩვენის მხრივ, ამას კიდევ ერთს დაუმატებთ. ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს კრებაც ისე არ გათავებულიყოს, როგორც უმეტეს ნაწილს რუსეთის კრებებს ჩვეულებათა აქვთ: ილაპარაკებენ, ილაპარაკებენ, საქმეს ვერას გააწყობენ და ბოლოს გადასჭრიან: მთავრობას მივმართოთო, რაიმე შემწეობა მოგვცესო.

დეპეშა

10 ფებერვალი

ორიოლი. აქაურ ოლქის სასამართლოში შეუძლებელის საქალაქო ბანკის კონკურს, საჩივარი შეუტანია ქალაქზე, რომელსაც ედავება 840,000 მან. ამ ფულში თავსი ვალი 721,000 მანათია და სარგებელი 119.000 მან.

ათინა. იმ ხმამ, რომ ვითომ მმართებლობამ პოლიტიკა შესცვალაო, დიდი არეულობა მოახდინა, ხალხის ბრბო შეკრბა და თხოულობდა, რომ მმართებლობამ ერთგზებურს პოლიტიკას მისდიოსო; დელიანისმა გამოაცხადა, რომ მმართებლობა საომრად მზადებას თავს არ ანებებსო. კოროლმა დღეს ოსმალეთის ახალი ელჩი უნდა მიიღოს.

ლონდონი. გუშინ სოციალისტური კრება იყო გაიდ-პარკში. კრებაზედ დასწრო 20,000-მდე კაცი, ორატორები წითელ-ალმებით მორთულს ეტლებზე იდგნენ და იქიდამ ელაპარაკებოდნენ ხალხს: თუ მმართებლობა არ განაკარგებს მუშების სოციალურს მდგომარეობას, სისხლის-ღვრა მოხდებაო. პოლიციამ შეიპყრო ბერნსის ეტლი. გაიდ-პარკიდამ დაბრუნებული მუშები ამტვრევდნენ ფანჯრებს სახლებში და ცდილობდნენ საპარლამენტო ქუჩისკენ გასულიყვნენ, მაგრამ პოლიციამ არ გაუშვა: ბოლოს პოლიციამ გაჰფანტა მუშები როგორც იყო და ბევრი დაატუსაღა.

11 ფებერვალი

პეტერბურგი. გუშინ მობძანდა პეტერბურგს უავგუსტოესი მშობელი დიდის მთავრინის ელისაბედ თეოდორეს ასულისა დიდი ჰერცოგი ჰესსენისა ლიუდოვიკი VI და თან მოიყვანა თავისი ასული პრინცესა ირინე. სტანციაზედ მაღალთა სტუმართა მიეგება ხელმწიფე იმპერატორი და უმაღლესნი გვამნი.

ირკუტის გუბერნატორი ნოსოვიჩი, თანხმად მისის თხოვნისა, დათხოვნილ იქმნა სამსახურიდამ და სამხედრო სამინისტროს ხელ-ქვევითად ჩაირიცხა.

გაზეთები ამბობენ, პეტერბურგში იმართებაო დიდი აქციონური საზოგადოება განსაკუთრებით რუსთაგან, რომ საქონლის საწყობები დააწყონ სხვა-და-სხვა გუბერნიებში და საქონელზედ სესხად ფული აძლიონო.

პეშტი. დეპუტატთა პალატაში ტისსამ გამოაცხადა, რომ ავსტრო-ვენგრიის პოლიტიკა აღმოსავლეთში იმაზედ კი არ არის მიმართული, რომ ბალკანის ნახევარ კუნძული განინაწილოს რუსეთთან ერთად, არამედ იმაზედ, რომ მშვიდობიანად გათავდეს ეხლანდელი გაჭირებული ყოფაო.

ფილიპპოპოლი. მთავარს ალექსანდრეს ჰსურს ჯერ რეზერვები შეიარაღოს და საომარს ფეხზე დააყენოს მილიციები და მერე დაბრუნდეს სოფიაში,

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14.
ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა—23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

ფებერვალი 28 დღით არის

11 დღე სამშაბათი. ღირსისა შიო მღვიმელისა, მოწ. ეპისკ. ვლასისა, სომ. წმ. სუქიასიანთი. კათ. ეფოზინისა და ლიუცინასი, მუსულმ. მე-20 დღე თთვისა ჯემად-ულ-ეველ 1303 ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა დღე 12—13—32. ტფილისში მზე ამოდის 6—44, ჩადის 5—43. მთვარე ამოდის 11—28, და ჩადის 9—17.

12 დღე ოთხშაბათი. მელეტი არხიეპისკ. მოვლინება ივერიის ღვთის-მშობლის ხატისა. სომ. მარხვაა. კათ. ევლიალიისა და პეტრე ეპისკ. დაარსდა ქუთაისის გიმნაზია 1850 წ. ჭეშმარიტი შუადღე 12—13—23. ტფილისში მზე ამოდის 6—43; ჩადის 5—45. მთვარე ამოდის 12 ღ. ჩადის 10—4.

13 დღე ხუთშაბათი. წმ. მარტიანესი. სომ. წმ. ვასკინთი. ნახატანაქი. იორდანესი და ეკატერინესი. ჭეშმარიტი შუა დღე 12—13—13. ტფილისში მზე ამოდის 6—41; ჩადის 5—46. მთვარე ამოდის 12—29 ღ. ჩადის 10—34.

14 დღე პარასკევი. ღირ. ავქსენტისა, კირილე ეპისკ. სომ. ტაძრად მოყვანაქრისტესი—ტ' რნინ დარაჯი (მირქმა). კათ. ვალენტინა და ვიტალისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—13—3. ტფილისში მზე ამოდის 6—40; ჩადის 5—47. მთვარე ამოდის 1—27 ნღ. ჩადის 11—15.

15 დღე შაბათი. წმ. მოციქ. ონისიმესი, ღირ. ეფროსინასი. სომ. წმ. ისააკ პართელისა. კათ. ფაუსტინისა და იოვიტისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—12—53. ტფილისში მზე ამოდის 6—38; ჩადის 5—48. მთვარე ამოდის 2—21 ნღ. ჩადის 12—1.

16 დღე კვირა. წმ. მოწ. პამფილისა, ხორცით აღების-ღამე, დაწყება ყველიერისა. კათ. იულიანისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—12—43. ტფილისში მზე ამოდის 6—37. ჩადის 5—49. მთვარე ამოდის 3—11 ნღ. ჩადის 12—49.

უმაღლესი მანიფესტი საქართველოს შეერთებისა რუსეთთან, გამოცხადებული ტფილისის ქართულსა და სომხურს ეკკლესიებში 1801 წ.

17 დღე ორშაბათი. წმ. დიდისა მოწამისა თეოდორე ტირონისა, სომ. მარკოს ეპისკ., პიონი მღვდელ. და სხვ. კათოლ. დონატისა და თოდულისა. სომ წმ. მარკოზ ეპისკოპ. ჭეშმარიტი შუადღე 12—12—30. ტფილისში მზე ამოდის 6—35; ჩადის 5—50. მთვარე ამოდის 3—56 ნღ., ჩადის 1—38.

გამოსადეგი ცნობანი.

მაზანდა.

1 თებერვლიდამ 1-ლ მარტამდე.

რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ.	5 კ.
ადგილობრივი პური 1-ლის ხარისხ. სა.	2¼ »
» » 2 »	2 »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	4½ »
მე-2 ხარისხისა	3 »
მე-3 —	2½ »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 »
2 —	7 »
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 »
ცხვრის ხორცი	8 »
ღორის ხორცი 1-ლის ხარისხ.	6 «
2-ის ხარისხ.	5 »

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე. (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის -- — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა ამით აუწყებს გირავნობის ფურცლების პატრონთ, რომ ზემოხსენებულის ბანკის კუპონებში და გირავნობის ფურცლებში ფულის მიღება შეიძლება როგორც ყველა რუსეთის სახელმწიფო ბანკებიდამ, ისე ყველა მათ განყოფილებათა და კონტორებისაგან.

(3—2)

ოთხშაბათს, 19 ფებერვალს,
«ტფილისის კრუჟოკის» დარბაზში
«ქართული დრამატიული საზოგადოების» სასარგებლოდ
იქნება გამართული:

ბალი

ბალი დაიწყობა 9 საათზე

ბილეთები ისყიდება: შაკურდოვის პავილიონში, სტანისლავ ჩარასხიანის მაღაზიაში და «კრუჟოკის» შვეიცართან.

ბილეთის ფასი ორი მანათია. მანდილოსანთ შეუძლიათ დაესწრონ გულამოუჭრელ კაბებითაც.

კახურის ღვინით ვაჭრობა

თ. ზ. ვახვახოვისა.

ამით ვაუწყებ საზოგადოებას, რომ ამ თებერვლის მეორე რიცხვიდამ, ემართავ ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზე, **ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის (არწრუნისეულ) სახლში, №** 10, ღვინის სარდაფს ფირმით

,,კურდღელაური'',

სადაც გაისყიდება საუკეთესო ნამდვილი კახური ღვინოები, საკუთარის ზვრებისა, რაც შეიძლება იაფად.

გარდა ამისა, ღვინით ვაჭრობისთვისვე, 15 თებერვლიდამ ემართავ კიდევ მეორე სარდაფს იმავე ფირმით ველიამინოვის ქუჩაზე, უწინდელ მირზოევის და ამიროვის სახლში.

თ. ზ. ვახვახოვი.
(3—3)

Дозволено цензурою Тифлисъ 11 февраля 1886 года

ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა საპერნის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში.

რედაქტორი და გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**